ალეკო ბაქრაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია

თავისუფლებისაკენ სწრაფვა საერთოდ ადამიანის მთავარი თავისუფლებაა და არაფერია ამაში არც, გაუგებარი არც მოულოდნელი, არც გადამეტებული და, რაც მთავარია სხვებისაგან გამოსარჩევი. პირიქით, თუკი გვამსგავსებს, სწორედ ეს უკეთილშობილესი თვისება თუ მოთხოვნილება გვამსგავსებს იმ ბედნიერ ხალხებს, სხვებზე ადრე რომ გაიარეს თვითგამორკვევის, თვით დამკვიდრების, თვით შემეცნების გზა. ეს გზა, ადრე თუ გვიან, ყველა ხალხმა უნდა გაიაროს.

ტოტალიტარული საბჭოური სისტემის ლიბერალიზაციამ ეროვნულ მოძრაობას გააქტიურების საშუალება მისცა. საქართველოში ამ ეტაპზე ეროვნული მოძრაობის მასობრიობა დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, ეროვნული დამოუკიდებლობის, ეროვნულ – დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მოღვაწეობასთან.

არაფორმალური ჯგუფების ლიდერებმა ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებისათვის დიდი შრომა გასწიეს. მათი ორიენტაცია დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, რადგან ის არსებითად შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს, გარდაქმნისა და საჯაროობის მოთხოვნებს. არაფორმალების გავლენით ბევრ მოვლენას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისი სახელი დაერქვა და სწორად შეფასდა. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ხალხის თვითშეგნების ზრდა, ისტორიული წარსულისადმი მიბრუნება, სათუთი დამოკიდებულება ერის სულიერი და კულტურული მიღწევებისადმი.

აღნიშნულ პერიოდში ას ტაძარზე მეტი გადაეცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს დაუბრუნდა ძველი ისტორიული სახელები. მუშავდებოდა ქართული ეროვნული სკოლის კონცეფცია [1, 12].

ეროვნული მოძრაობისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შედეგს წარმოადგენდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმული საკითხი 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შესახებ. ამ თემაზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის სესიამ, რომელმაც მოიწონა საბჭოთა რუსეთსა და

საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის (შეიქმნა 1989 წლის ივნისში) დასკვნა, რომელშიც ნათქვამია: „... საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა – საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება – სამართლებრივი თვალსაზრიზით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია, მისგან გამომდინარე შედეგებით, პოლიტიკური თვალსაზრისით შეფასდა, როგორც ფაქტობრივი ანექსია.

ფაქტია, რომ არაფორმალურ ჯგუფებს სწორი და კეთილშობილური სტრატეგიული ამოცანების გვერდით, ასევე ნათლად ჩამოყალიბებული უახლოესი და რეალური ამოცანები არა ჰქონდათ. ისინი დიდ ძალას წარმოადგენდნენ, დიდ გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მაგრამ წინასწარ შემუშავებული გონივრული და რეალური პროგრამის გარეშე მოქმედებდნენ.

1988 წლიდან მრავალი უანგარო ადამიანი იღვწოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის. მაგრამ ამდენი დასი, პარტია და საზოგადოება მარტო ქვეყნის გასაჭირს არ შეუქმნია! ჩვენმა ამბიციურობამ წარმოშვა საზოგადოებათა გარკვეული ნაწილი, ამბიციურობამ დაქსაქსა ძალები, დააქუცმაცა საზოგადოება მიკრო დასებად, საზოგადოებებად, ასოციაციებად გაფანტა ერი.

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოქმედებიდან ჩვენ მხოლოდ ეკონომიკური მოდელის გადმოღებაზე გავამახვილეთ ყურადღება, თუმცა მათი გამოცდილებიდან სხვა რამის გადმოღება უფრო გვჭირდებოდა: ეს იყო პოლიტიკური ტაქტი და ტაქტიკა. მათ იპოვეს ის გასაღები, რაც ჩვენს სინამდვილეში შექმნილი ურთულესი მარწუხებიდან გამოიყვანდა მცირერიცხოვან ერს. სრულიადაც არ მოგვდებდა ჩრდილს, თუ ამ საკითხში ერთ ბედქვეშ მყოფი ხალხის მიერ დიდხანს ნაფიქრსა და ნაკვალევ გზას დავადგებოდით. ამავე დროს ჩანდა, რომ სხვა სახის ექსპერიმენტები მარცხით მთავრდებოდა. ბალტიისპირეთმა მომავლის გეზი განსაზღვრა იმდენად ნათლად, რომ არად ულირდათ პირადი ამბიციები [2, 290].

დიდ იმედებს ამყარებდა საზოგადოება სახალხო ფრონტზე, რომლის პირველი საინიციატივო ჯგუფი ქართველ მწერალთა ერთი ნაწი-

ლის თავგამოდებით – ჩვენში პირველად სწორედ მწერალთა კავშირში შეიქმნა. მოგვიანებით ამ წმინდად დაწყებულ საქმეს, რომელმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში უზარმაზარი როლი შეასრულა, მერე და მერე იმდენი სახელის გამტეხი მიეტმასნა, ეროვნული მოძრაობის მტრებმა ისე დასცეს შებღალეს მისი ავტორიტეტი, რომ უკვე 1990 წელს ბევრს აღარ სჯეროდა მისი. არადა სახალხო ფრონტში მრავალი თავგამოდებული მამულიშვილი იბრძოდა.

1988-1989 წლებში ეროვნული მოძრაობის ლიდერების და საერთოდ პოლიტიკური პარტიების ინიციატივით ცხოვრების წესად იქცა მიტინგები და შიმშილობები, გაფიცვები და კარის აჭედვები. საერთოდ მიტინგები არის პოლიტიკური ბრძოლის საშიში ინსტრუმენტი. აქ ემოციებს ვერ იკავებენ და არ ეძებენ პარლამენტურ ურთიერთობებს.

მიტინგებზე ხშირად გაისმოდა მოწოდება, „სისხლი, სისხლი უნდა დაიღვაროსო!..“ ქართველი გმირი სამსხვერპლოზე გზავნიდა თავის თავს და არა სხვას. „ოკუპანტების „გინება დამოუკიდებელი საქართველოს მისაღწევად არათუ ათხელებდა ბორკილებს, ასქელებდა მას [2, 292-294].

კომუნისტური ხელისუფლება, ცნობილი მიზეზების გამო, ისედაც სულს ღაფავდა. მაგრამ გარკვეულ ძალებს პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებისათვის ხელს აძლევდათ დასახელებული აქციები, რათა შემდეგში ხელისუფლებაში მოსვლის დროს პოლიტიკური კულტურის არმქონე მასისაგან მხარდაჭერა ჰქონოდათ. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ საკმარისი იყო აბიტურიენტს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიეღო, იგი მაშინვე მჯდომარე გაფიცვას და შიმშილობის აქციას აწყობდა (ხშირად მშობლებთან ერთად).

1989 წლის საგამოცდო ციებ-ცხელების შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მოულოდნელი რამ მოხდა. მაშინ, როცა მისაღებ აბიტურიენტთა რიცხვი იმ დროს ყველგან შეზღუდული იყო და ეს კი თავისთავად იწვევდა დიდ კონკურსს, გამოცდების დამთავრების შემდეგ ყველა აბიტურიენტი, ვინც გამოცდაზე ჩაიჭრა, სტუდენტი გახდა. არა და, რამდენმა შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობისაგან! რამდენმა მიატოვა გამოცდები, როცა პირველ საგანში სამიანი მიიღო! მხოლოდ უნივერსიტეტმა ასეთი „ექსპერიმენტის“ გამო 1600 სტუდენტი მიიღო დამატებით. ეს გადაწყვეტილება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-მ მიიღო, რითაც შეეცადა შერყეული

ავტორიტეტი ასეთი იაფფასიანი აქტით გამოესწორებინა და მხარდამჭერები გაეჩინა.

მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა დაიწყეს სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან მოსწავლეებისა და სტუდენტების გამოყვანა, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებიდან მუშა-მოსამსახურეთა ორგანიზებული დასწრების მიზნით სამგზავრო ტრანსპორტს იყენებდნენ. პარალიზებული გახდა სასწავლო შრომითი პროცესი.

არაფორმალებმა დიდი გავლენა მოიპოვეს ფართო მასებზე, განსაკუთრებით დედაქალაქებში. ასეთმა ვითარებამ მათ შეუქმნა შეხედულება, რომ გამოაღვიძეს ერი და ჩააყენეს ქვეყნის სამსახურში. ბუნებრივია, განმათავისუფლებელი მოძრაობის ასეთი შეფასება შეურაცხყოფა იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავშეწირული ქართველებისა, თუნდაც 1921, 1924, 1937, 1944, 1951, 1956, წლებში ზვარაკად რომ მიიტანეს თავი ერის გადასარჩენად სამსხვერპლოზე.

სინამდვილეში ქართველი ერის სიფხიზლე, მისი ღრმა პატრიოტიზმი, წინა თაობათა ინტელიგენციის დამსახურებას წარმოადგენდა. 80-იანი წლების ბოლოს არაფორმალთა „პოლიტიკურ ასპარეზზე შემოჭრამ და გაბატონებამ კი არ განაპირობა ქართველი ერის გამოფხიზლება, არამედ პირიქით, ქართველი ერის სიფხიზლემ, თავისუფლებისაკენ უსაზღვრო ლტოლვამ განაპირობა ულტრარადიკალური ლოზუნგების პოპულარობა და ამ ლოზუნგთა მატარებლების გაბატონება პოლიტიკურ ასპარეზზე“ [3, 33].

ერებმა რომელთაც ამ მომენტისათვის გააჩნდათ პატრიოტული სიფხიზლისა და ინტელექტუალური მზადყოფნის სათანადო დონე, უკვე 1987 წლისთვის შექმნეს სისხლსავსე პოლიტიკური ცხოვრების პირობები. ამ ერების პოლიტიკურ სარბიელზე გამოიკვეთა პოლიტიკურ ძალთა მთელი სპექტრი. თუმცა პოლიტიკაში ექსცესების სრულად გამორიცხვა ძნელი წარმოსადგენია, ურთიერთმიმართება ამ ძალთა შორის ძირითადად ცივილიზებულად წარიმართა.

პოლიტიკური ლოზუნგები პირველად 1988 წლის დასაწყისში გამოჩნდა, კერძოდ, 25 თებერვლის – საქართველოს გასაბჭოების სამოცდამეშვიდე წლისთავის გლოვის დღედ გამოცხადებით დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპი.

ამდენად, ქართველი არაფორმალების მოქმედება გაცხოველდა

1988 წლის შემდეგ, როცა ზემოდან დაშავებული დემოკრატიზაციის პროცესი უკვე საკმაოდ ღრმად იყო წასული – მიტინგებისათვის, დემონსტრაციებისათვის, ნებისმიერი ხასიათის ლოზუნგებისთვის აღარავის სდევნიდნენ. ჩვენი არაფორმალების დაპირისპირებას იმჟამინდელ ხელისუფლებასთან ჰქონდა წმინდა ლოზუნგურ-ულტიმატური ხასიათი; კომუნისტური ხელისუფლება ეყრდნობოდა უაღრესად განტოტვილ, გამოწვლილვით დამუშავებულ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მოძღვრებას. არაფორმალებს არც კი უცდიათ ამ მოძღვრების პოზიტიური კრიტიკა, მისი არგუმენტირებულად უარყოფა. გრანდიოზულ მარქსისტულ სპეკულაციას არაფორმალებმა დაუპირისპირეს მხოლოდ ტრაფარეტული ანტიმარქისტულ-ანტისაბჭოური ლოზუნგები და შეძახილები. აგრეთვე, ძველ თუ ახალ „ბელადთა" არამეგობრული შარჟები [3, 36].

1988 წლის 24 თებერვალს სტუდენტებმა, უნივერსიტეტის ეზოში მოაწყვეს მიტინგი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადასარჩენად. ამ პერიოდისათვის ეს მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა „მოწმენდილ" ცაზე. პარალელურად დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა სხვადასხვა ეროვნული მოთხოვნებით. მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის საკითხი.

1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული მასობრივი მიტინგი, რომელიც 22 ნოემბერს ასევე მასობრივ შიმშილობაში გადაიზარდა.

ნოემბრის აქციის საბაბად ეროვნულ-დემოკრატებმა გამოიყენეს იმ ხანებში გამოქვეყნებული სსრ კავშირის კონსტიტუციის შენიშვნებისა და დამატებების პროექტით ქართველ ხალხში შექმნილი საყოველთაო უკმაყოფილება. აღნიშნული პროექტი ხელყოფდა მოკავშირე რესპუბლიკების უფლებებს კავშირიდან თავისუფალი გასვლისა და საშინაო საქმეების განკარგვის შესახებ. 119-ე მუხლის ძალით სსრ კავშირის ხელისუფლებას ენიჭებოდა კავშირის ნებისმიერ რეგიონში სამხედრო თუ საგანგებო წესების შემოღების უფლება.

კონსტიტუციის ამ რეაქციული შესწორებების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს არა მარტო არაფორმალურმა ორგანიზაციებმა, არამედ ინტელიგენციამ, სტუდენტობამ, მშრომელებმა, არსებითად მთელმა საქართველომ [1, 15-16].

საერთოდ, 1986-1988 წლები შეიძლება შეფასდეს ე. წ. გარდაქმნის პერიოდის ეროვნული მოძრაობის პირველ პერიოდად. ამ ორი წლის მანძილზე უნდა ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი სტრატეგია და ტაქტიკა, უნდა გაგვერკვია, რა გვსურდა და რა გზით გვევლო დასახული მიზნისაკენ.

რადიკალთა პირველი თაობა – ეს იყო მაღალი ინტელექტის მქონე პატრიოტ ახალგაზრდათა ვიწრო წრე. მას შემდეგ, რაც ეროვნული მოძრაობა ქუჩაში გამოვიდა და ფართო მასების მხარდაჭერა მიიღო, მას უამრავი შემთხვევითი პიროვნება მიეტმასნა. დამნაშავეთა სამყარომ ცხოველური ინსტიქტით იგრძნო, რომ ეროვნული მოძრაობის საფარქვეშ ხელის კარგად მოთბობა შეიძლებოდა, მასობრივ აქციებს, კონსპირაციულ მუშაობას გარკვეული თანხები სჭირდებოდა. თავდაპირველად ეს თანხა ქუჩაში აქციების დროს შემოწირულობების სახით გროვდებოდა. მაგრამ მალე რადიკალთა ლიდერებმა სახსრების დაგროვების გაცილებით საიმედო და ორგანიზაციული ფორმები მონახეს. დაიწყო წარმოება – დაწესებულებებისათვის, ცალკეული მდიდარი ადამიანებისათვის ეროვნული მოძრაობის სახელით „ფულის შეწერის“ კამპანია.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასა და მის ირგვლივ თავმოყრილ ინტელექტუალურ ძალებს არ მოსწონდათ არა მარტო რადიკალთა ერთი ნაწილის მიერ გამოყენებული ბრძოლის ფორმები და მეთოდები, არამედ პირველ რიგში, ინტელიგენციის, ერის ზომიერი ნაწილის მიმართ მისი დამოკიდებულება. ჭავჭავაძის საზოგადოების ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჭავჭავაძემ ბრალი დასდო ზვიად გამსახურდიას ინტრიგებში. საქმე ღირსების სასამართლოზე მივიდა. სასამართლომ დაპირისპირება ვერ მოხსნა, პირიქით, კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა [1, 14-15].

80-იანი წლების მეორე ნახევარში განსაკუთრებით ხშირად ვახსენებდით ყველასთვის ცნობილ „მესამე ძალას“, რომელიც იყო უპირველესი ინსპირატორი მზაკვრულად დაგეგმილი კონფლიქტებისა, ექსტრემიზმისა, ტერორისა... მაგრამ ამასობაში გვავიწყდებოდა ან დროზე ვერ შევამჩნიეთ ყველაზე ვერაგი „მეოთხე ძალა“ – „ქართველები ქართველების წინააღმდეგ!“ მანამდე ჩვენ გამოვცადეთ ყველა სახეობის დარტყმა. მათ შორის ორლესული ნიჩბებიც! მაგრამ თავისი სისასტიკით ბევრად ამაზრზენი აღმოჩნდა ეს სატანური „მეოთხე ძალა“. თანამედროვე პირობებში იგი პირველად (და სამწუხაროდ წარ-

მატებით) გამოიცადა „სტუდენტურ პოლიგონზე!“ ამ ძალის ყველაზე „გეგმაზომიერი“ დემონსტრირება მოხდა ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართულ მიტინგზე, სადაც ცნობილმა ძალებმა ერთმანეთს მიუსიეს ე. წ. კომკავშირელი აქტივისტები და დანარჩენი ახალგაზრდობა! [3, 36].

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასამდე კომკავშირელს 1989 წლის 18 თებერვალს დაავალეს მიტინგის დარბევა, თავიანთი თანატოლებისა და ამხანაგების ცემა და შეურაცხყოფა. მათაც „პირნათლად“ აღასრულეს დავალება. კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობით ხელისუფლებამ სასტიკად, დაუნდობლად დაარბია მიტინგი, რომელიც მიზნად ისახავდა მიემართა აფხაზი ხალხისათვის მოწოდებით: არ აჰყოლოდა პროვოკატორებს, რომლებიც აფხაზებს გადაჯიშებისაკენ მოუწოდებდნენ. აი, ამ კეთილშობილური შინაარსის მიტინგს ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა და მას ერთა შორის შუღლის გაღვივება, შოვინიზმი და ნაციონალიზმი დასწამა. 18 თებერვლის სამარცხვინო აქცია, როდესაც ქართველმა ახალგაზრდებმა ქართველივე თანატოლები სცემეს, მორალური თვალსაზრისით, გაცილებით დიდ ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა, ვიდრე 9 აპრილის ღამე, როცა ქართველები ერთად იყვნენ მართალნი, კეთილშობილნი და ამაღლებულნი.

საქართველოს ისტორიის გაყვითლებულ ფოლიანტებს კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი შეემატა 1989 წლის 9 აპრილის სახით. ბოროტების იმპერიამ კვლავ დაანახვა მთელ მსოფლიოს ჭეშმარიტი სახე, საქართველოს დედაქალაქი სისხლით შეღება. ერთ დროს საკრალური ციფრი – 9 – დიდი ხანია ჩვენთვის სევდისა და გლოვის რისხვად იქცა. 1956 წლის 9 მარტი არ გვაკმარეს, 9 აპრილიც ტკივილისა და შურისძიების სურვილის თარიღად გვიქციეს.

9 აპრილი ყველას შეცდომა იყო – არაფორმალების, რესპუბლიკისა და საკავშირო ხელმძღვანელობის, სამხედრო უწყებების...

მთავრობის სახლის წინ გამოფენილი ანტისაბჭოური პლაკატები უმალ ავტორთა გულუბრყვილობას ადასტურებდნენ, ვიდრე მათი პოზიციის სიმტკიცესა და სიძლიერეს.

მიტინგებზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ლოზუნგების ფონზე, თითქმის ყოველდღე გაისმოდა ქართული ხალხური სიმღერები და საცეკვაო მოტივები. ჩვენ გვავიწყდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ „დამოუკიდებლობა და თავისუფლება ტაშფან-

დურით კი არა – ერთსულოვნებით, მოთმინებითა და ტანჯვით მოიპოვება ...“ [4, 80].

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება არ გადადგებოდა და ჭეშმარიტად ეროვნული მთავრობა ვერ შეიქმნებოდა. ასეთ რამეს მოსკოვი არ დაუშვებდა. ეს მაშინ ანბანური ჭეშმარიტება იყო. საქართველო 1989 წელს დამოუკიდებლობას ვერ მიიღებდა. ეს პროცესი ახლო მომავლის საქმე იყო. სიტუაცია ქვეყანაში „მოკავშირე“ რესპუბლიკების სასურველად ისედაც მიმდინარეობდა. ამ პროცესის „ქვევიდან“, ხელოვნურად დაჩქარებას მძიმე შედეგები რომ მოჰყვებოდა, უნდა სცოდნოდათ პოლიტიკოსობის პრეტენზიით გამოსულ ლიდერებს.

არაფორმალთა ლიდერების მოქმედებიდან კი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი შეგნებულად ამწვავებდნენ სიტუაციას, ცდილობდნენ სამხედრო ფორმიანი მხეცის გაღიზიანებას რუსოფობული ლოზუნგებით. ამიტომაც იყო, რომ აპრილის აქციის ორგანიზატორთა მოქმედება დასავლეთში ძირითადად შეფასდა არა როგორც ეროვნულ-პოლიტიკური იდეალებისათვის ბრძოლა, არამედ როგორც დიდი სკანდალის მოხდენის სურვილი თვითრეკლამის მიზნით [3, 100].

მრავალდღიანი მიტინგის მთავარი ლოზუნგი იყო საქართველოს რესპუბლიკის გამოყოფა სსრკ-ს შემადგენლობიდან, რაც კონსტიტუციის დარღვევას არ ითვალისწინებდა. ცნობილია, რომ სსრკ-ს კონსტიტუციის 72-ე მუხლი ამის უფლებას იძლეოდა. საზოგადოების მეორე ნაწილი ფიქრობდა, რომ საქართველომ 1918 წლის 26 მაისს უკვე მიიღო დამოუკიდებლობა, მან თავის დროზე გააკეთა არჩევანი და თვითგამოსარკვევი აღარაფერი სჭირდა. ამიტომ ეს მშვიდობიანი მიტინგი ძირითადად იყო სწორი და 9 აპრილის სისხლისღვრა საზოგადოებამ სავსებით სამართლიანად აღიქვა, როგორც ცენტრში მოქმედი გარკვეული რეაქციული ძალების ნამოქმედარი.

1991 წლის 17 მარტს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლების მიერ რეფერენდუმი დაინიშნა. მოსახელობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ კითხვაზე: „თვლით თუ არა საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. ახალ ფედერაციაში „ნებისმიერი ეროვნების“ უფლებების დაცვას საბჭოთა ხელმძღვანელობა

ავტონომიური წარმონაქმნების დამოუკიდებლად შესვლის გზით ფიქრობდა. ეს გარემოება წინააღმდეგობას მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში არ იწვევდა.

რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი ექვსმა რესპუბლიკამ – ესტონეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, მოლდოვამ, სომხეთმა და საქართველომ განაცხადა. ცხრა რესპუბლიკაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80 %-მა, რომელთა 76 %-მა მხარი დაუჭირა განახლებული სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, 21 %-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა.

17 მარტს რეფერენდუმის საპირისპიროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ქართველი ხალხის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თითქოს, არავითარ ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ქართველი ხალხის განწყობა სამართლებრივადაც დადასტურებულიყო.

ქართული რეფერენდუმის მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც. სპეციალურ განცხადებაში ედპ აღნიშნავდა, რომ 31 მარტის რეფერენდუმი მხოლოდ დაადასტურებს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტსო.

რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაიმართა ჯავის, ტყვარჩელისა და გუდაუთის გარდა. იგი დიდი აღმავლობით ჩატარდა და როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად დაადასტურა ქართველი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისკენ. დამოუკიდებლობას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 97 %-მა.

1991 წლის 9 აპრილს გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია. თავის ვრცელ მოხსენებაში მან განმარტა ცენტრალურ ხელისუფლებასთან საქართველოს ხელისუფლების მაშინდელი დამოკიდებულების ხასიათი. ჩვენს მიერ გამოცხადებული „გარდამავალი პერიოდი" – აღნიშნა მან – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლის მომზადებას გულისხმობდა, რასაც, ჩვენი ვარაუდით, მინიმუმ ორი წელი მაინც დაჭირდებოდა. სხვა საკითხებთან ერთად, ეს საკავშირო ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმული სამართლებრივი ნაბიჯის აღიარებასაც გულისხმობდა. მოხდა კი პირიქით: ქართველი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ საკავშირო ხე-

ლისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა. მან ნამდვილი ომი გააჩაღა შიდა ქართლში, რითაც შეეცადა დავეთანხმებინეთ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის ზეწოლა 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ. ამან მოვლენების ფორსირება გამოიწვია და შეამცირა გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა. „ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმში გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფობრიობის აღდგენა".

მას შემდეგ, რაც აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წელს, დღის წესრიგში კვლავ დადგა ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება, ბუნებრივია, იმ ვითარებიდან გამომდინარე რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველებში გამძაფრდა შეგნება საკუთარი თავის სხვისგან გამიჯვნისაკენ. რაც მთავარია ქართველთა წინაშე დადგა საკითხი შემდეგნაირად: რუსეთი, როგორც ცალკე განზომილება და მეორე, დასავლეთი. საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მოიაზრებდა. მის ევროპელობაში იგულისხმებოდა ის ფაქტი, თუ როგორ გამოიხატებოდა დასავლური ღირებულებების გაზიარება.

1992 წელს გაზეთი „ერი" აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყანა არის და უნდა იყოს კიდეც ორიენტირებული ევროპისადმი, რომელიც, ცხადია, აღარც კრემლია და აღარც სხვა რამ იმპერიული ცენტრი. ევროპას გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მყარი სტრუქტურა, ტრადიცია და ამ ტრადიციაზე დაფუძნებული ინერცია. ვიდრე საქართველო ევროპის მრავალ ასპექტიან პროცესებში ჩაერთვება და ამ პროცესების სუბიექტი გახდება, მან უნდა შეისწავლოს ის საბაზისო სტრუქტურები, რომლებსაც ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრება ემყარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველო უნდა დაეუფლოს ევროპის „პროფესიას", ევროპა მხოლოდ მაშინ გიგუებს, როცა იგრძნობს, რომ შენ პროფესიონალი ხარ, ან დარწმუნდება, რომ შენ სწავლობ ამ პროფესიას ან და რომ ისწავლი, ამის პოტენცია გაგაჩნია" [5, 8].

1997 წელს საქართველოს სახალხო დემოკრატიულ კავშირს ევროპეიზაციის პროცესი შემდეგნაირად ესმოდა: „ დღეს საქართველოს წინაშე არის უნიკალური შესაძლებლობა, დაუბრუნდეს ევროპული

ცივილიზაციის წიაღს. ევროპეიზმი ჩვენ გვესმის, როგორც ევროპული, ისტორიული და თანამედროვე კულტურულ-პოლიტიკური ფასეულობების ერთობლიობა. გამომდინარე აქედან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპეიზმი უნდა იყოს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების განმსაზღვრელი, უნივერსალური საფუძველი.

უნდა მოხდეს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური, სამართლებრივი და ყოფის სხვა მხარეების ევროპეიზაცია, ევროპული ცივილიზაციის ნიშნით განვითარება.

უნივერსალური ევროპეიზაცია, როგორც: საგარეო – პოლიტიკურ სფეროში – საქართველოს გაერთიანება ევროპის თანამეგობრობაში. სოციალურ სფეროში – სამოქალაქო საზოგადოების შექმნა. ეკონომიკურ სფეროში – ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზით ეროვნული ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის, მხატვრობის, საერთოდ, კულტურის განვითარება, მისი თვითმყოფადი ინტეგრაცია ევროპის კულტურულ სივრცეში. მეცნიერების სფეროში – დასავლური და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა დანერგვა, გაზიარების გზით ქართული მეცნიერების აღორძინება, განვითარება და ა. შ.“ [5, 9].

საქართველოს მიერ ევროპაზე აღებული კურსი გარკვეულ სირთულეებსაც უქმნიდა, ქვეყნის ეროვნული ტრადიციების დაცვაში. ასე მაგალითად, 1996 წელს გერმანიის წარმომადგენელი ირმაგარდ ბროიერ-ჰირლი საქართველოს პრეზიდენტს უგზავნის შემდეგი შინაარსის წერილს: „პირველ ყოვლისა მინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენს მიერ განეული სამსახურისათვის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას, რის შედეგადაც გერმანიის კვლავ გაერთიანება რეალობად იქცა.

დევნილ ქრისტიანთა დახმარების კომიტეტის ხელმძღვანელის ვლადიმერ ზარდაჩუკისა და მისი მოადგილის ჰანს ოლეშისაგან, რომლებიც ჩემთვის სანდონი არიან, შევიტყვე, რომ თქვენს რესპუბლიკაში ევანგელისტი ქრისტიანები თავიანთი შეკრებებისას სერიოზულ დაბრკოლებებს განიცდიან თვით აკრძალვის ჩათვლითაც კი. თქვენი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს დემოკრატიას და აღიარებს რელიგიის თავისუფლებას.

... ჩემი თხოვნაა თქვენი მთავრობის მიმართ, რომ ევანგელისტ-ქრისტიანებს ჰქონდეთ საშუალება თავისუფლად შეკრებისა და ერთად ჩვენი უფალი იესო ქრისტეს მიმართ ლოცვისა. ჩემი დიდი თხოვნაა ამ საქმესთან დაკავშირებით მიიღოთ ზომები“ [5, 13].

1996 წლის 27 ივნისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია

ევროპარლამენტის ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის დელეგაცია ანტონიოს ტრაკატელოსის ხელმძღვანელობით. დელეგაცია შეხვდა პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელს გიორგი კობახიძეს, აგრეთვე, საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია II-ს. დელეგაციის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულების გარკვევა. უმთავრესი ამოცანა იყო ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურების ჩამოყალიბება.

არსებულ მასალებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ დასავლეთი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის გასაფართოებლად საქართველოს ხელისუფლებას ქართული, ეროვნული ღირებულებების ცვლილებებსაც სთხოვდა. საქართველოში ჩამოსული დასავლეთის წარმომადგენლები არაერთხელ აღნიშნავდნენ ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ცვლილების აუცილებლობაზე. ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა რელიგიური თავისუფლების მიმართულებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ XIX ს-ის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუბლიცისტური ფრაზა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“, უმთავრეს იდეად იქცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ის ისტორიის ხელახლა გააზრებას და ასევე, წარსულის მემკვიდრეობის ხაზგასმას გულისხმობდა.

ილია და „თერგდალეულები“ ენერგიულად ცდილობდნენ სულისკვეთებისა და ეროვნული იდეების გაღვიძებას, რითაც ქვეყანას მომავალი დამოუკიდებლობისათვის ამზადებდნენ. ამისათვის მათ შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ჟურნალ-გაზეთები, რასაც მალე მოჰყვა ბრძოლა ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

1918 წლის 26 მაისს თბილისში ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. მის პირველ პუნქტში მოცემული იყო ის, რაზეც თავის დროზე უამრავი ადამიანი ოცნებობდა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

დამოუკიდებლობის სამ წლიანი (1918-1921 წწ.) პერიოდი საბჭოთა ძალადობრივმა ხელისუფლებამ შეცვალა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, დავიწყებული, თუ დაკარგული მეხსიერების დაბრუნება XX ს-ის 70-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ელი-

ტის უმთავრესი მიზანი გახდა. ეს კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის წინ წამოწევას ითვალისწინებდა.

ამ პროცესს ხელი შეუწყო 1989 წლის აპრილის მოვლენებმა, როდესაც 9 აპრილს, საბჭოთა ჯარმა დაარბია მშვიდობიანი მანიფესტაცია. ამან კი საბჭოთა საქართველოს არსებობას წერტილი დაუსვა. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩვენი ქვეყნის სათავეში მოვიდა ზვიად გამსახურდია. 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი გაიმართა, რომელზეც საქართველოს მოსახლეობამ თავისი არჩევანი გააკეთა და საქართველოს დამოუკიდებლოვბას მისცა ხმა. ამავე წლის 9 აპრილს კი, უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო არც დასავლეთისაკენ იყურებოდა და არც ნატოში გაწევრიანებაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაგრამ რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად წაგვართვა და აგვისტოს ომამდეც მთელი 18 წელი ჩვენი ქვეყნის იურისდიქციის გარეშე რჩებოდა. ამიტომ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თითქოს საქართველოს დასავლური ორიენტაცია გახდა ერთგვარი მიზეზი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება. პირიქით რუსეთის ანტიქართულმა პოლიტიკამ განაპირობა დასავლური ღირებულებებისაკენ სწრაფვა. რუსეთისათვის მიუღებელია ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბლუაშვილი უ., პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წლებში, თბილისი, 1994.
2. გოგუაძე ვ., მე არც წარსულის არც მომავალის არ მეშინია, თბილისი, 1993.
3. მირიანაშვილი თ., შავბნელი ჟამის ქრონიკა, თბილისი, 1993.
4. კალაძე ა., ის მაინც ბრუნავს, თბილისი, 1991.
5. სონღულაშვილი ნ., საქართველო და დასავლეთი ურთიერთობის ძირითადი შტრიხები 1991-2000, თბილისი, 2014.
6. კვესელავა ი., საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები. II. ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე, თბილისი, 2009.
7. სონღულაშვილი ა., „სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!, თბილისი, 2009.

8. ბლუაშვილი უ., საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1987-2003 წწ., თბილისი, 2015.
9. ასმუსი რ., მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბილისი, 2010.
10. გოლცი თ., საქართველო – ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში, თბილისი, 2014.

Aleko Bakradze
Master in International Relations, Georgian Technical Universit

Restoration of Independence of Georgia and Foreign Policy Orientation

Summary

This work shows the Latest period of Georgian national movement, which was ended by reinstating of independence. Destroying Russian Empire made a great contribution to This prossess. This work reveals how the leaders of national movement, especially. The future president Zviad Gamsakhurdia, were fighting for The consolidation of national self-awareness. The dissidents made every effort for maintaining Georgian Values. This work also states, that inclination towards the western values was conditioned by anti-Georgian, Russian policy.